საქმე № 010910026900188142

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-01-26 **17 თებერვალი, 2026 წელი, თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი(მომხსენებელი)
მოსამართლეები - ბადრი შონია
ლევან ნემსაძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ი. შ-ა (სიითი №--)

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ. ხ-ი, მ. ბ–ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 24 ნოემბერი №044/25 გადაწყვეტილება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 24 ნოემბერი №044/25 გადაწყვეტილების გაუქმება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. **გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი**:

1. 2025 წლის 16 ივლისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ. ე-მ, და მოითხოვა ადვოკატ ი. შ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლიდან, საზოგადოებრივი ადვოკატი ი. შ-ა იცავდა მისი მეუღლის-, კ. ჯ-ს ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. ზემოაღნიშნულ საქმეზე წარმომადგენლობისთვის საჩივრის ავტორმა როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ადვოკატ ი. შ-ს მოთხოვნით გადასცა თანხა სულ - 1 300 ლარი.

2. ი. შ-ა საჩივრის საპასუხოდ წარდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტებით, არ დაეთანხმა საჩივარში აღწერილ ფაქტებსა და საჩივრის მოთხოვნას. ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორს არ ჰქონდა ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მიმართვის უფლება, რადგან მისი მეუღლე იყო ადვოკატის კლიენტი და არა თვითონ.

2.1 ადვოკატის განმარტებით, მას, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს საზოგადოებრივ ადვოკატს, დაევალა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული კ. ჯ-ს ინტერესების სავალდებულო წესით დაცვა. ადვოკატი საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერთო და დაიწყო აქტიური კომუნიკაცია ბრალდებულსა და მის მეუღლესთან, საჩივრის ავტორ ნ. ე--თან. ადვოკატ ი. შ-ს აქტიური ჩართულობის შედეგად, 2024 წლის 11 აპრილს, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და კ. ჯ. უდანაშაულოდ ცნო. 2024 წლის 04 ივლისს, აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. 2025 წლის 19 ივნისს, უზენაესმა სასამართლომ დააკამყოფილა პროკურორის საკასაციო საჩივარი, გააუქმა კ. ჯ-ს მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი და იგი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში.

2.2 ადვოკატის მითითებით, ვინაიდან, იგი პროფესიულ ვალდებულებებს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად ასრულებდა, კ. ჯ-მ დაასაჩუქრა და მას სამჯერ, ნაღდი ანგარიშსწორების გზით, საჩივრის ავტორის ანგარიშიდან გადაურიცხა 150 ლარი. ადვოკატმა უარყო ჯამურად, 1 300 ლარის მიღება და განმარტა, რომ თავდაპირველად, იგი უარს ამბობდა, მაგრამ კ. ჯ-ს დაჟინებული

თხოვნის შემდეგ, აიღო.

2.3 2025 წლის 24 ნოემბრის განხილვის სხდომაზე, ადვოკატმა განმარტა, რომ კ. ჯ-თან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და მისგან სესხის სახით მიიღო ჯამურად 1 300 (ათასამასი) ლარი, რის დაბრუნებასაც აპირებდა, თუმცა საჩივრის ავტორმა აღარ მიიღო.

3. 2025 წლის 10 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით ადვოკატ ი. შ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა.

3.1 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტების დისციპლინური წარმოების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ ი. შ-ს მიერ დარღვეულად ჩაითვლებოდა პროფესიული ფუნქციების დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოლეგიის 2025 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N044/25 დადგინდა ადვოკატ ი. შ-ს (სიითი №--) მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

ასოციაციის მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტები:

4.1 2023 წლიდან, იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატი ი. შ-ა სავალდებულო წესით იცავდა ნ. ე-ს მეუღლის, კ. ჯ-ს, ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე.

4.1.2 საადვოკატო მომსახურების პერიოდში, ნ. ე-მ საზოგადოებრივ ადვოკატ ი. შ-ს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადასცა თანხა, სულ - 1 300 ლარი (*მტკიცებულებები გადახდის ქვითარი (გადახდის ქვითრები* ID: 433943316; ID: 441780785 ID: *447913537.* „Messenger*” აპლიკაციაში ადვოკატ ი. შ-ს* 2024 *წლის 17 მარტის შეტყობინება, ადვოკატ ი. შ-ს აუდიოშეტყობინებები.* „Messenger” აპლიკაციაში ადვოკატ ი. შ-თან მიმოწერის ე.წ. „სქრინშოთი“ და ადვოკატისგან მიღებული აუდიოჩანაწერები. აუდიოჩანაწერებში, ადვოკატი ი. შ-ა ამბობს: ციტირება - *„რაც გთხოვე თუ გააკეთებ კაის იზავ, როცა გექნება*“ (აუდიო ჩანაწერი N001, 00:01:23); *„ფინანსურად გაჭედილი ვარ და ერთი 50 ევრო რომ გამომიგზავნო შეგიძლია?*“ (აუდიოჩანაწერი N002, 00:00:21); *„ფინანსური კუთხით* მინდოდა *დახმარება, ერთი 50 ევროს საშუალება თუ გექნებოდა, რომ გადმოგერიცხა*“ (აუდიო ჩანაწერი 003, 00:00:10); *„ქალბატონო ნ--, თქვენ სამტრედიიდან უნდა*

გადმოგერიცხათ ხო ჩემთვის თანხა?“ (აუდიოჩანაწერი N004, 00:00:01); *„ქალბატონო ნ--... არაუშავს,* ხვალ *დამირიცხეთ*“ (აუდიოჩანაწერი N005, 00:00:06). საჩივარზე თანდართულია „Messenger” აპლიკაციაში ადვოკატ ი. შ-ს მიერ 2024 წლის 17 მარტს გაგზავნილი შეტყობინების ე.წ. „სქრინშოთი“, რომელშიც ადვოკატი წერს: ციტირება - „პ/ნ 60001024646, *ი. შ-ა. თიბისი ბანკის ვიზა გოლდის ბარათის ლარის ანგარიშზე უნდა* დარიცხოთ *თანხა.* სანამ *ჩარიცხავთ, რომ* მიხვალთ *ჩასარიცხ აპარატთან, დამირეკეთ. წინასწარ უღრმესი მადლობა)“.*

4.2 განხილვის კოლეგიამ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის შეფასება და საჩივრის ავტორი მიიჩნია ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მიმართვაზე უფლების მქონე პირად შემდეგი საფუძვლებით: ნ. ე-ს კ. ჯ-ს მეუღლე, რომელსაც, თავად ადვოკატის განმარტებით, მასთან სისხლის სამართლის საქმის გამო აქტიურად ურთიერთობდა და საადვოკატო მომსახურებისთვის არაერთხელ მიიღო მისგან თანხა. განხილვის კოლეგიის შეფასებით, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დგინდება ადვოკატ ი. შ-ს მიერ პროფესიული ფუნქციების დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულების დარღვევა, რადგან მან, როგორც საზოგადოებრივმა ადვოკატმა საადვოკატო მომსახურებისთვის ჰონორარის სახით კლიენტის ოჯახისგან მოითხოვა და მიიღო თანხა, რითაც დაარღვია შემდეგი მუხლები: *„ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“* (***„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი***); ***„ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან,*** მათ ***შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის*** და ***პროფესიული ეთიკის ნორმებს***“ (ადვოკატთა *პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის* 1- *ლი* ნაწილი*)*; ***„ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა ... განახორციელოს წარმომადგენლობა“*** (ადვოკატთა *პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).*

5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 24 ნოემბრის №044/25 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადის დაცვით გაასაჩივრა ადვოკატმა ი. შ-მ რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

6. ადვოკატის მოსაზრებით მის მიმართ დისციპლინური გადაცდომის ჩადენისა და პასუხისმგებლობის ზომად გაფრთხილების განსაზღვრის თაობაზე ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, არის არაობიექტური, მიკერძოებული და ტენდენციური არ გამომდინარეობს ობიექტური რეალობიდან, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

6.1 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მის მიმართ დისციპლინური გადაცდომის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად მიუთითა, რომ თითქოს მის მიერ, მისი ყოფილი დასაცავის-, კ. ჯ--საგან ნასესხები თანხა 1300 ლარი იყო საადვოკატო მომსახურების გასამრჯელო. ეს შორს არის ობიექტურობისაგან და არის თავად ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის არასწორი ინტერპრეტაცია და ფაქტების ხელოვნური დამახინჯება. საჩივრის ავტორ ნ. ე-ს მიერ 2025 წლის 16 ივლისს ადვოკატთა ასოციაციაში წარდგენილ საჩივარში არსად არ არის მითითებული, რომ ადვოკატი მას და მის მეუღლეს კ. ჯ-ს, თანხებს სთხოვდა საადვოკატო მომსახურებისათვის. ნ. ე-ს არც ის არ აქვს მითითებული საჩივარში, რომ მას, თანხა 1300 ლარი გადასცეს საჩუქრის სახით, მადლიერების ნიშნად. მომჩივანი მის მიერ წარდგენილ საჩივარში, ცალსახად და არაოაზროვნად აცხადებს, რომ „ადვოკატი ი. შ-ა სისტემატურად გვძალავდა თანხებს მე და ჩემს მეუღლეს“ ნ. ე-ი აცხადებს რომ, ადვოკატი მათ თანხებს სძალავდა. გამოძალვა არის სსკ-ის 181-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაული და ნამდვილად არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის საგანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეთიკის კომისიამ - ნაცვლად იმისა, რომ არ მიეღო წარმოებაში წარმოდგენილი საჩივარი მაინც მიიღო, დაიწყო დისციპლინური წარმოება და გამოიტანა არასამართლიანი გადაწყვეტილება.

6.2 ადვოკატის განმარტებით იმ მომენტიდანვე, როდესაც კ. ჯ-თან დაამყარა კომუნიკაცია აუხსნა და განუმარტა, რომ ვინაიდან იგი იყო სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი, მას ადვოკატისათვის არ ჰქონდა ოფიციალურად გადასახდელი ორდერისა და საადვოკატო მომსახურების თანხა. საქმის მიმდინარეობის პროცესში, კერძოდ, როდესაც მოცემული _ სისხლის სამართლის საქმე წარიმართა სასამართლოში არსებითად განსახილველად, მას და კ. ჯ-ს შორის, რომელიც იმჟამად იმყოფებოდა საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა, კერძოდ, გასცდა ადვოკატისა და დასაცავს შორის ურთიერთობებს. ისინი ხშირად საუბრობდენ „მესენჯერის“ მეშვეობით _ როგორც საქმესთან დაკავშირებით, ასევე - სხვადასხვა თემაზე (პოლიტიკური და სხვა.) 2024 წლის მარტში მას გაუჩნდა გარკვეული ფინანსური პრობლემები და აქედან გამომდინარე, კ. ჯ-ს სთხოვა გარკვეული რაოდენობის თანხა სესხის სახით და კ. ჯ-მ ასესხა. შემდგომშიც მან რამდენჯერმე, როგორც კ. ჯ-ს, ასევე მის მეუღლეს (რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა), სთხოვა გარკვეული თანხა სესხად და ამ თანხების საერთო რაოდენობამ სულ შეადგინა 1300 ლარი. მან კ. ჯ-ს განუცხადა, საქართველოში ჩამოსვლისთანავე თანხას დაუბრუნებდა სრულად. ვინაიდან კ. ჯ-თან ჩამოუყალიბდა მეგობრული ურთიერთობა, მიზანშეწონილად არ მიიჩნია ოფიციალურად, წერილობითი სესხის ხელშეკრულების გაფორმება. მისი მხრიდან კ. ჯ-სთვის კონკრეტული თანხების სესხის სახით მოთხოვნა, პირდაპირ თუ არა - ირიბად დასტურდება, თავად ნ. ე-ს მიერ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის

კომისიისათვის გადაგზავნილი ხმოვანი შეტყობინებებით, ანუ აღნიშნულით მომჩივანი მხარე პირდაპირ თუ არა ირიბად აღიარებს მისი მხრიდან კონკრეტული სესხების და არა საადვოკატო მომსახურებისათვის მოთხოვნილი თანხების ფაქტს. ვერცერთი მტკიცებულებით, ვერ დადასტურდა ადვოკატის მხრიდან კ. χ--სათვის, უშუალოდ საადვოკატო მომსახურებისათვის 1300 ლარის აღების ფაქტი. არ არსებობს არცერთი ვიდეოჩანაწერი, არცერთი მინაწერი „მესენჯერში“ და არც მომჩივნის მხარის მიერ წარმოდგენილი ხმოვანი შეტყობინებით არ დასტურდება, თანხების მოთხოვნის ფაქტი და აღნიშნული არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ასეთი ფაქტი ბუნებაში არ არსებობდა, მისი სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე. ის გარემოება, რომ მან თითქოს კ. χ-საგან თანხა აიღო საადვოკატო მომსახურებისათვის, არის ეთიკის კომისიის პირადი სუბიექტური პოზიცია, მათი მხრიდან ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია და არაობიექტური შეფასება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია:

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა გაიზიარა №044/25 დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის 2025 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი დასაბუთების, ასევე - გამოყენებული სახდელის ნაწილში და ადვოკატის საჩივრის უარყოფა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ი. შ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სადისციპლინო პალატა, უპირველესად, განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე - სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა, წარმოდგენილი შედავების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას შეაფასებს.

10. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ ეთიკის კომისიამ მიიღო არაობიექტური, მიკერძოებული

და ტენდენციური გადაწყვეტილება, რაც არ გამომდინარეობს ობიექტური რეალობიდან, ვინაიდან არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება მისი მხრიდან, უშუალოდ საადვოკატო მომსახურების თანხის, 1300 ლარის აღების ფაქტი, რადგან 1300 (ათასამასი) ლარი წარმოადგენდა სესხს და არა საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის აღებულ ჰონორარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო გარემოებათა სათანადო შეფასების გარეშე და უსაფუძვლოდ დააკისრა სახდელი.

11. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, სადავო შემთხვევაში შეფასების საგანია დაირღვა თუ არა საჩივრის ავტორის მიერ, პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება.**

12. *სადისციპლინო პალატა მიუთითებს - „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლზე რომლის შეაბამისად „ფიზიკურ პირს უფლება აქვს ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევაში და დადგენილი წესით ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე“. ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად - „იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობასში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე“. ამავე კანონის 16 მუხლის მე-4 მუხლის შესაბამისად, იურიუდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თავის საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით“ ამავე მუხლის მე-6 პუნტით კი „იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები მოქმედებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს დისციპლინური გადაცდომის მაკვალიფიცირებელ სამართლებრივ ნორმებზეც. კერძოდ, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (ა)); „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის - მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის 1- ლი ნაწილი); ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).*

13. პალატა მიუთითებს იურიდიული დახმარების სამსახურის არსზე და აღნიშნავს, რომ ამ სამსახურში დასაქმებულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადვოკატი, რომელიც უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას იმ პირებისათვის, ვისაც არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა კერძო ადვოკატის მომსახურების საფასურის გადახდისა. მისი მიზანია უზრუნველყოს სამართლებრივი თანასწორობა. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, არის სახელმწიფოს მიერ დანიშნული და ანაზღაურებული პროფესიონალი, რომლის მთავარი მიზანია, რომ არავინ დარჩეს სამართლებრივი თანასწორობისა და დაცვის გარეშე.

14. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ ი. შ-ს საჩივარში კვალიფიციური შედავება განხორციელებული არ არის და არც რაიმე მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

15. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2023 წლიდან, იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატი ი. შ-ა სავალდებულო წესით იცავდა ნ. ე-ს მეუღლის, კ. ჯ-ს, ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე.

16. ასევე დადგენილია, რომ საადვოკატო მომსახურების დროს, ნ. ე-მ საზოგადოებრივ ადვოკატ ი. შ-ს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით სულ, გადასცა - 1 300 ლარი (*მტკიცებულებები გადახდის ქვითარი (გადახდის ქვითრები* ID: 433943316; ID: 441780785 ID: *447913537.* „Messenger*" აპლიკაციაში ადვოკატ ი. შ-ს* 2024 *წლის 17 მარტის შეტყობინება, ადვოკატ ი. შ-ს აუდიოშეტყობინებები.* „Messenger" აპლიკაციაში ადვოკატ ი. შ–თან მიმოწერის ე.წ. „სქრინშოთი" და ადვოკატისგან მიღებული აუდიოჩანაწერები).

17. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავისი საქმიანობაში დამოუკიდებელია და იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირებისათვის, სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას. იურიდიული დახმარების შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტით შესამამისად იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატი სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების გაწევისათვის იღებს ხელფასს, შესაბამისად, საზოგადოებრივი ადვოკატის შრომა ანაზღაურდება

სახელმწიფოს მიერ, იმ მიზნით, რომ ყველა პირს ჰქონდეს სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა და გამორიცხავს ადვოკატის მხრიდან დამატებით ჰონორალის მოთხოვნას.

18. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატმა ი. შ-მ ნ. ე-ს და მის მეუღლე კ. ჯ-ს არაერთხელ სთხოვა თანხის ჩარიცხვა, რითაც დაარღვია როგორც იურიდიული დახმარების შესახებ კანონის და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების, ასევე - ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებები, (I ტომი, 3 გვ,CD დისკი 53 გვ), აუდიო ჩანაწერებში, : ციტირება - *„რაც გთხოვე* თუ *გააკეთებ კაის იზავ, როცა გექნება*“ (აუდიოჩანაწერი N001, 00:01:23); *„ფინანსურად გაჭედილი ვარ და ერთი 50 ევრო რომ გამომიგზავნო შეგიძლია?*‘ (აუდიოჩანაწერი N002, 00:00:21); *„ფინანსური კუთხით* მინდოდა *დახმარება, ერთი 50 ევროს საშუალება თუ გექნებოდა, რომ გადმოგერიცხა*“ (აუდიოჩანაწერი 003, 00:00:10); *„ქალბატონო ნ., თქვენ სამტრედიიდან უნდა გადმოგერიცხათ ხო ჩემთვის თანხა?*‘ (აუდიოჩანაწერი N004, 00:00:01); *„ქალბატონო ნ.. არაუშავს,* ხვალ *დამირიცხეთ*“ (აუდიოჩანაწერი N005, 00:00:06). საჩივარზე თანდართულია „Messenger” აპლიკაციაში ადვოკატ ი. შ-ს მიერ 2024 წლის 17 მარტს გაგზავნილი შეტყობინების ე.წ. „სქრინშოთი“, რომელშიც ადვოკატი წერს: ციტირება - „პ/ნ 60001024646, *ი. შ-ა. „თიბისი ბანკის ვიზა გოლდის ბარათის ლარის ანგარიშზე უნდა* დარიცხოთ *თანხა.* სანამ *ჩარიცხავთ, რომ* მიხვალთ *ჩასარიცხ აპარატთან დამირეკეთ. წინასწარ უღრმესი მადლობა)“.* სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კოლეგიის შეფასებას მასზე, რომ ი. შ-მ დაარღვია პროფესიული ფუნქციების დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება, ვინაიდან მან, როგორც საზოგადოებრივმა ადვოკატმა, საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარის სახით კლიენტის ოჯახისაგან მოითხოვა და მიიღო თანხა, რითაც დაარღვია ადვოკატის ვალდებულება კეთილსინდისიერად შეესრულებინა პროფესიული ვალდებულება. ადვოკატ ი. შ-ს ქმედებამ ზიანი მიაყენა საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიულ როლს და უფასო იურიდიული დახმარების არსს, რადგან მისი სამართლებრივი მომსახურება უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე. საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ბენეფიციარისგან თანხის მოთხოვნით დაარღვია უფასო იურიდიული დახმარების არსი და მიზანი, შეამცირა საზოგადოების ნდობა ადვოკატის პროფესიის მიმართ.

19. სასამართლო მიუთითებს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ასევე - „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 8.5 მუხლის, დანაწესზე, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. პალატა განმარტავს, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და

კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს ფორმალურ წარმომადგენლობას. **ადვოკატი ვალდებულია თავის ინტერესებზე მაღლა დააყენოს კლიენტის ინტერესები, მით უფრო, როცა საქმე ეხება სახელმწიფოს ხარჯზე გაწეულ სამართლებრივ დახმარებას იმ პირებისათვის ვისაც არ აქვს კერძო ადვოკატის აყვანის საშუალება ან/ და ვისაც უპირობოდ ეკუთვნის ეს დახმარება.**

20. პალატა მიუთითებს "ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ადვოკატის პროფესიული საქმიანობა უნდა ემყარებოდეს კანონის უზენაესობას, დამოუკიდებლობას და კათილსინდისიერებას. ეს ნიშნავს, რომ პირად ინტერესებზე (ფინანსურზე, ოჯახურზე, პოლიტიკური თუ სხვა) პრიორიტეტულია კლიენტის ინტერესი და პროფესიული მოვალეობა ყოველთვის დგას პირად ინტერესზე მაღლა. შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა დაუშვას, რომ მისი პირადი სარგებელი გავლენას ახდენდეს პროფესიული საქმიანობის შესრულებაზე. თუ პირადი ინტერესი ეჯახება კანონს ან ეთიკურ ნორმებს, ადვოკატმა უნდა აირჩიოს კანონისა და ეთიკის დაცვა. პირადი ინტერესების გამო მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც აზიანებს ადვოკატის რეპუტაციას, ეთიკური ვალდებულებების დარღვევად მიიჩნევა. CCEB-ის ევროპული ეთიკის კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ადვოკატი უნდა მოერიდოს ინტერესთა კონფლიქტს და არ გამოიყენოს თავისი პროფესიული პოზიცია პირადი სარგებლისათვის.

21. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა სესხს და არა ჰონორარს, რაც მას პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა. ვინაიდან თანხის სესხად აღების დამადასტურებელი დოკუმენტი, სესხის ხელშეკრულება ან რაიმე სხვა სახის მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის და რომც დასტურდებოდეს ზემაღნიშნული გარემოება, ადვოკატის მიერ მისი დაცვის ქვეშ მყოფისაგან თანხის სესხად აღება წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ამ შემთხვევაში ადვოკატი თავის ინტერესს აყენებს კლიენტის ინტერესზე წინ და პროფესიას იყენებს პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

22. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს ადვოკატის როლს საზოგადოებაში და მიუთითებს, რომ ადვოკატი ვალდებულია, ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებას, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა

პირებისაგან.

23. სადისციპლინო პალატა ასევე მიუთითებს მტკიცების ტვირთზე და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

24. პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, იურიდიული დოქტრინის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების დაცვა, სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ., Gillette v. Edison, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.N.D. 2009)).*

25. ამდენად, სადისციპლინო პალატა იზიარებს ადვოკატთა ეთიკის კომისიის შეფასებას მასზე, რომ ი. შ-ს მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მე-8 მუხლის მე-2, ნაწილები.**

26. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

27. პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ი. შ-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნა. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

28. სადისციპლინო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რაც ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, #7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).*

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ი. შ-ს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ი. შ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 24 ნოემბრის №044/25 გადაწყვეტილება;

3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: **ბადრი შონია**

ლევან ნემსაძე